განრიგი 1

გადახდის გრაფიკი

(შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისთვის - ქვე-პროგრამა 2)

1. წინამდებარე ცხრილში მოცემულია სესხის ძირითადი თანხის დაფარვის თარიღები და გადასახდელი სესხის მთლიანი ძირითადი თანხის პროცენტი, რომელიც გადახდილ უნდა იქნას ძირითადი თანხის თითოეული გადახდის თარიღისთვის (გადახდის წილი). იმ შემთხვევაში, თუ სესხის თანხები სრულად გამოიყენება პირველი გადახდის თარიღის დროს, მსესხებლის მიერ გადასახდელი სესხის ძირითადი თანხა, რომლის გადახდა უნდა მოხდეს გადახდის ძირითადი თარიღის მიხედვით, განისაზღვროს ADB-ის მიერ შემდეგნაირად: (ა)პირველი გადახდის თარიღისთვის გამოყენებული და დასაფარი სესხის მთლიანი ძირითადი თანხის გამრავლებით; (ბ) პერიოდული შენატანის ნაწილით თითოეულ ძირითადი გადახდის თარიღზე; ასეთი გადახდა საჭიროებისამებრ უნდა დარეგულირდეს, რათა მოხდეს წინამდებარე განრიგის მე-4 პარაგრაფში მითითებული ნებისმიერი თანხის გამოკლება, რომელსაც ეხება ვალუტის კონვერტირება.

გადახდის ვადა	გადასახადის წილი (გამოხატული %-ში)*
15 მარტი 2019	4.166667
15 სექტემბერი 2019	4.166667
15 მარტი 2020	4.166667
15 სექტემბერი 2020	4.166667
15 მარტი 2021	4.166667
15 სექტემბერი 2021	4.166667
15 მარტი 2022	4.166667
15 სექტემბერი 2022	4.166667
15 მარტი 2023	4.166667
15 სექტემბერი 2023	4.166667
15 მარტი 2024	4.166667
15 სექტემბერი 2024	4.166667
15 მარტი 2025	4.166667
15 სექტემბერი 2025	4.166667
15 მარტი 2026	4.166667
15 სექტემბერი 2026	4.166667
15 მარტი 2027	4.166667
15 სექტემბერი 2027	4.166667
15 მარტი 2028	4.166667
15 სექტემბერი 2028	4.166667
15 მარტი 2029	4.166667
15 სექტემბერი 2029	4.166667
15 მარტი 2030	4.166667
15 სექტემბერი 2030	4.166659
სულ	100.000000

2. იმ შემთხვევაში, თუ სესხის თანხები სრულად არ გამოიყენება პირველი გადახდის თარიღის დროს, სესხის ძირითადი თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს მსესხებელმა თითოეული გადახდის თარიღზე, განისაზღვრება შემდეგნაირად:

(ა) იმ შემთხვევაში, თუ სესხის თანხები გამოიყენება პირველი გადახდის თარიღისთვის, მსესხებელმა უნდა გადაიხადოს გამოყენებული თანხა და აღნიშნული თარიღისთვის დარიცხული გადასახდელი თანხა, ამ განრიგის 1 პარაგრაფის მიხედვით.

(ბ) ნებისმიერი თანხა, რომლის გამოთხოვაც მოხდა პირველი ძირითადი თანხის გადახდის თარიღის შემდეგ, უნდა იქნას გადახდილი ყოველი ძირითადი თანხის გადახდის თარიღში, რომელიც დადგება აღნიშნული თანხის განაღდების თარიღის შემდეგ, ADB-ის მიერ განსაზღვრული რაოდენობით, თითოეული ასეთი განაღდებული თანხის გამრავლებით წილადზე, რის ასათვლელადაც, აღნიშნული ძირითადი გადახდის დღისთვის, აღებული უნდა იყოს თავდაპირველი პერიოდული შენატანის წილი, რომელიც მოცემულია წინამდებარე განრიგის პარაგრაფ 1-ში, ხოლო დენომინატორად ძირითადი თანხის გადახდის თარიღისთვის, რომელიც ასეთ თარიღს დაემთხვევა ან მის შემდეგ დადგება - დარჩენილი თავდაპირველი პერიოდული შენატანის ნაწილი. გადასახდელი თანხა უნდა დარეგულირდეს საჭიროებისამებრ, რათა დაიქვითოს იმ თანხიდან, რომელიც მითითებულია წინამდებარე განრიგის პარაგრაფ 4-ში და რომელსაც ეხება ვალუტის კონვერტირება.

3. თანხის გამოყენება, რომელიც განხორციელდება ძირითადი თანხის გადახდის თარიღამდე ორი თვის განმავლობაში, მხოლოდ იმ ძირითადი თანხის რაოდენობის გამოსათვლელად, რომელიც გადასახდელია ძირითადი თანხის გადახდის თარიღზე, უნდა ჩაითვალოს, როგორც ათვისებული და გადასახდელი მომდევნო ძირითადი თანხის დაფარვის თარიღის დადგომისას, რომელიც მოჰყვება თანხის ათვისების თარიღს. აღნიშნული თანხის გადახდა უნდა მოხდეს თითოეული ძირითადი თანხის გადახდის თარიღის დადგომისას, რომელიც დაიწყება მომდევნო ძირითადი თანხის გადახდის თარიღით.

4. მიუხედავად წინამდებარე განრიგის პარაგრაფი 1 და 2-ისა, რომელიც ეხება სესხის ძირითადი ათვისებული თანხის ყველა ან რომელიმე ნაწილისთვის ვალუტის კონვერტაციას ხელშეკრულებით დამტკიცებულ ვალუტაში, კონვერტირებული თანხა, რომლის გადახდა უნდა მოხდეს ძირითადი თანხის დაფარვის თარიღის მიხედვით, რომელიც წინ უსწრებს კონვერტაციის პერიოდს, უნდა განისაზღვროს ADB-ის მიერ უშუალოდ კონვერტაციამდე, აღნიშნული თანხის დენომინაციის ვალუტის გამრავლებით: (i) ან იმ სავალუტო კურსზე, რომელიც ასახავს ძირითადი თანხის რაოდენობას ზემოთ აღნიშნულ დამტკიცებულ ვალუტაში, რომლის გამოყოფა უნდა მოხდეს ADB-ის მიერ სავალუტო რისკის ჰეჯირების ფარგლებში, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნულ კონვერტაციასთან; ან (ii) იმ შემთხვევაში, თუ ADB განსაზღვრავს ამგვარად, კონვერტაციის სახელმძღვანელოს შესაბამისად, გამოცხადებული გაცვლითი კურსით.

5. იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებული და გადასახდელი სესხის ძირითადი თანხა დენომინირდება სესხის ერთზე მეტ ვალუტაში, წინამდებარე განრიგის პირობები გამოყენებულ იქნას კონკრეტულად სესხის თითოეულ ვალუტაში დენომინირებულ თანხასთან მიმართებაში, რათა ცალ-ცალკე შემუშავდეს სესხის გადახდის გრაფიკი.